

სსიპ „საზოგადოებრივი  
მაუწყებლის აჭარის  
ტელევიზიისა და  
რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს  
ანგარიში

2015

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს  
სამაუწყებლო პოლიტიკა, პროგრამული პრიორიტეტები,  
საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგები;
2. მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებები
3. ინფორმაცია დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ;
4. განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ;
5. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ;
6. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-სთან  
ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ;
7. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ;
8. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
9. აუდიტის დასკვნა.

# 1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს სამაუწყებლო პოლიტიკა, პროგრამული პრიორიტეტები, საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგები

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ დაფუძნდა და მოქმედებს კანონით. აქედან გამომდინარე მისი საქმიანობის პრინციპები განსაზღვრულია კანონით, ხოლო მიმართულებებსა და პროგრამულ პრიორიტეტებს, ასევე მიმართულებათა შორის თანაფარდობებს ადგენს მრჩეველთა საბჭო და უთანხმებს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს. პროგრამული პრიორიტეტების შესრულებას აკვირდება და მონიტორინგს უწევს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მონიტორი. (იხ. დანართი N1).

2015-2016 წლის პრიორიტეტების დადგენისას მრჩეველთა საბჭომ დოკუმენტში პროპორცია კვლავ პროცენტულად განსაზღვრა. ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ამ მაჩვენებლის დადგენა პრიორიტეტების შესრულებლის კონტროლის ერთერთი მექანიზმია. ჩვენ შეძლებისდაგვარად ზუსტად გავწერეთ რა ხარისხის უნდა ყოფილიყო გადაცემები, რას მოითხოვს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლისგან და რას მოითხოვს საზოგადოება. წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით პრიორიტეტების პროექტზე მუშაობას წინ უსწრებდა ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები და საზოგადოებრივი აზრის კვლევა. (იხ. დანართი N2).

კვლევის ძირითად მიზანს და ამოცანებს შეადგენდა, როგორც ზოგადად აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიმართ, ისე მისი საინფორმაციო და სხვა მხატვრულ-შემოქმედებითი პროდუქტისადმი აჭარის რეგიონის, ქ. ოზურგეთისა და ქ. ფოთის მოსახლეობის ატიტუდების გამოვლენა და სხვადასხვა პარამეტრით მისი შეფასება; აგრეთვე, მაუწყებლის ადგილის განსაზღვრა სხვა ანალოგიურ საშუალებათა საქმიანობის (კონკურენციის) ჭრილში და იმ მოლოდინების იდენტიფიკაცია, რომლებსაც აჭარის მოსახლეობა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფუნქციონირებას უკავშირებს. კონტენტის მოლოდინების იდენტიფიკაციით გამოიკვეთა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ერთის მხრივ, საზოგადოებრივი-პოლიტიკური მიმართულების გაძლიერება, ხოლო მეორე მხრივ, გასართობი შოუებისადმი მაყურებლის ინტერესი. თუმცა, საზოგადოების ამ დაკვეთის შესრულება საზოგადოებრივი მაუწყებლის პრინციპს არ შეესაბამება და აქედან გამომდინარე, უმჯობესად მივიჩნიეთ პრიორიტეტებში გაგვეწერა სატელევიზიო ჟურნალი, რომელიც საზოგადოებრივ-ანალიტიკური ფორმატისაა და ამავე დროს გულისხმობს პოლიტიკის მიღმა საზოგადოებისათვის საინტერესო ელემენტებს. აქვე აღვიშნავთ, რომ პრიორიტეტის ეს ნაწილი ამ ეტაპზე არ შესრულებულა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა კიდევ ერთი გარემოება, რომელიც განსხვავებული იყო 2014 წლის მონაცემებისგან, კერძოდ ის, რომ მომხმარებელს უნდა მეტი საინფორმაციო გამოშვება, მისი სურვილი ამ კონტექსტში უცვლელი რჩება, თუმცა, ხაზგასამელია ის, რომ მაყურებელი საზოგადოებრივი მაუწყებლისგან მოითხოვს სოციალურ-პოლიტიკური თემების უფრო ღრმა და ამომწურავ ანალიზს. ამიტომ, მრჩეველთა საბჭომ

გადაწყვიტა, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდში კიდევ უფრო გაამრავალფეროვნოს საინფორმაციო-საზოგადოებრივი და პოლიტიკური შინაარსის გადაცემები და უფრო მეტი ყურადღებით იმსჯელოს საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი საარჩევნო პროგრამებისა და პრიორიტეტების შესახებ. წარმოადგინოს მისი კრიტიკული ანალიზი და რეალობასთან შესაბამისობის განხილვა. ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, მრჩეველთა საბჭომ პროგრამულ პრიორიტეტებზე მუშაობისას დაადგინა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება 30% ყოფილიყო წარმოდგენილი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონმდებლობით გამყარებული ვალდებულება ჟურნალისტური გამოძიება, გადაცემა წელიწადში მინიმუმ თორმეტჯერ უნდა მომზადდეს. თუმცა, გადაცემა „სპეციალური რეპორტაჟი“ გამო რამდენჯერმე ცვლილება მოხდა სატელევიზიო ბადეში. გადაცემის ავტორები სრულფასოვნად ვერც გასული წლის სატელევიზო სეზონზე უმკლავდებოდნენ დაწესებულ ნორმებს და ერთთვისანი პაუზებით მომდევნო თვეში ორს, ან ორზე მეტ გადაცემას ამზადებდნენ, რაც ჩვენი მხრიდან არაერთხელ გამხდარა მკაცრი შეფასებისა და კრიტიკის საფუძველი.

ამ ეტაპზე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ერთერთ გამოწვევად რჩება, თანამედროვე მედიის განსაკუთრებული ნიშანი - საზოგადოებასთან მეტი კონტაქტი. რაც მრჩეველთა საბჭოს პრიორიტეტებში აღნიშნული აქვს კიდევ. პროფესიული მედია არ არსებობს საზოგადოებასთან თანამშრომლობის გარეშე, რაც პირდაპირ უკავშირდება სტუდიაში მოქალაქეების დასწრებას და საჯარო განხილვებში მათ მონაწილეობას. ამ ხარვეზის აღმოფხვრის ცალკეული შემთხვევები არსებობს, გადაცემა „ფაქტორში“, თუმცა, ეს საერთო სურათს არსებითად ვერ ცვლის. (პრობლემის დაძლევის მცდელობა ამ ეტაპზეც არსებობს. მრჩეველთა საბჭო აგრძელებს კონსულტაციებს მენეჯმენტთან).

აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული მოვლენების ვრცელი სპეცრპორტაჟები მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი პრიორიტეტების ნაწილია, რომელიც ერთიანდება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმართულებაში. იგი გულისხმობს, პირდაპირ რეპორტაჟებს ოფიციალური ღონისძიებებიდან, რომელიც იმართება აჭარის რეგიონში, უკავშირდება აჭარას, ან იწვევს მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს. სამწუხაროდ, აჭარის ტელევიზიამ ვერ უზრუნველყო 2015 წლის 17 დეკემბრის უმაღლესი საბჭოს სხდომის ტრანსლირება, მაუწყებლის მიერ ეს შეცდომა გამართლებული იყო ტექნიკური მიზეზით. თუმცა, საბჭოს წევრების მცდელობა, რომ ზუსტად გარკვეულიყო რა გახდა ამ ფაქტის რეალური მიზეზი, სისრულეში ვერ მოვიდა, ვინაიდან, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის არარსებობის გამო ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი გვითხრა. (იხ. დანართი N3).

პრიორიტეტებით საგანმანათლებლო, კულტურული და შემეცნებითი მიმართულება 25 პროცენტით არის განსაზღვრული. ამ კუთხით საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიით გადაიცემა დარგობრივი თოქ-შოუები, რომელთა თემატიკა მოიცავს: ეკონომიკას, მედიცინას, სოფლის მეურნეობას, ტურიზმს, სამართალს, განათლებას, ხელოვნებას, სპორტს. აჭარის ტელევიზია ახერხებს ამ თვალსაზრისით პრიორიტეტით

განსაზღვრული პროპორციის დაცვას, მხოლოდ ერთი გამონაკლისით. პრიორიტეტებშიც ჩანს და საკანონმდებლო ვალდებულებითაცაა გამყარებული გენდერულ თანასწორობაზე გადაცემების მომზადება. თუმცა გადაცემა ამ თემატიკაზე აჭარის ტელევიზიით არ აქვს. ხაზგასმით გვსურს აღვნიშნოთ, ახალი გადაცემა „ადვოკატის რჩევები“, რომელიც აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტია. სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება ტელევიზიისა და რადიოს უმნიშვნელოვანესი მიზანია, რომლის ბერკეტი ტელევიზიამ სათანადოდ გამოიყენა. გადაცემა, ამასთანავე ინტერაქტიულია და შემოსული ზარების რაოდენობა საზოგადოების მაღალ ინტერესზე მიუთითებს. ამავე მიმართულების კიდევ ერთი სიახლეა, საავტორო გადაცემა „ბუნების კანონი“. გადაცემის ყოველკვირეული მომზადება ჯგუფმა დაიწყო 2015 წლის ახალი სატელევიზიო სეზონიდან. იგი ეკოლოგიურ პრობლემებს აშუქებს და მიუხედავად იმისა, რომ სადებიუტოა, ერთერთი რეიტინგული გადაცემაა ჩვენს არხზე.

ტელევიზია გასული სატელევიზიო სეზონის მანძილზე ამზადებდა პრიორიტეტების შესაბამისად საავტორო გადაცემას „ქვევრისპირული“, რომელიც მაყურებელს უამბობდა ღვინის დაყენების უძველეს და ტრადიციულ ქართულ წესზე. ასევე ქვევრებისა და მარნების ისტორიებს. ეს გადაცემა ახალი სატელევიზიო სეზონიდან არ გაგრძელებულა და არც სხვა გადაცემა ამ თემატიკაზე არ მომზადებულა. თუმცა, პრიორიტეტებში წერია, რომ უნდა გაგრძელდეს და უფრო თანამედროვე სახე მიიღოს არასტუდიურმა პროგრამებმა თანამედროვე მუსიკის, სოფლის მეურნეობის, მეღვინეობის, თეატრისა და ხელოვნების, სოფლის ყოფის, ეკომიგრანტებისა და ფოლკლორის შესახებ. ასევე უნდა მომზადდეს ახალი პროგრამები შემდეგ თემატიკაზე: ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა, თანამედროვე კინოს განვითარების ტენდენციები, საზოგადო მოღვაწეები აჭარის ახალი ისტორიიდან და სხვადასხვა თეორიულ და სამეცნიერო თემატიკაზე დიალოგის ფორმატის გადაცემა, ასევე მიზანშეწონილია, მომზადდეს შემეცნებითი ხასიათის პროგრამათაშორისები სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული, ეკოლოგიური და ისტორიული თემატიკით.

მრჩველთა საბჭო პრიორიტეტებიდან გამომდინარე რამდენიმე სახის გადაცემის დეფიციტზე და არარსებობაზე საუბრობს. მართალია, გადაცემები მზადდება თანამედროვე ლიტერატურის შესახებ - „ბიბლიოთეკა“, თეატრისა და ხელოვნების შესახებ - „სცენა“ და „თეთრი კვადრატი“, ფოლკლორისა და სოფლის ყოფის შესახებ გადაცემები „ეთნოფორი“ და „ერთი დღე სოფელში“ თუმცა, ამავე კატეგორიაში ჩვენ ვხედავთ, პრიორიტეტების შეუსრულებლობის ტენდენციას, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა თეორიულ და სამეცნიერო თემატიკაზე დიალოგის ფორმატის გადაცემის, ასევე შემეცნებითი ხასიათის პროგრამათაშორისებისა და ახალი ისტორიიდან საზოგადო მოღვაწეებზე გადაცემების მოუმზადებლობით.

დოკუმენტური ფილმების წარმოება კიდევ უფრო მეტად იკიდებს ფეხს აჭარის ტელევიზიაში. ეს მნიშვნელოვანია და პრიორიტეტებს შეესაბამება. თუმცა მრჩველთა საბჭო რეკომენდაციით მიმართავს ჯგუფებს, რათა მეტად გაითვალისწინონ პრიორიტეტების სულისკვეთება თემების შერჩევისას.

2015 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით მაცურებელთა 25 % მიიჩნევს, რომ აჭარის ტელევიზიას საბავშვო გადაცემები აკლია. პროგრამული პრიორიტეტები ამ ჟანრის განვითარებას სტრატეგიულ ამოცანად მიიჩნევს, თუმცა მოცემულ ეტაპზე აჭარის ტელევიზია მხოლოდ საბავშვო ანიმაციური ფილმებით შემოიფარგლება. რაც პროცენტული 5 % მაჩვენებელში ზუსტად ეტევა, თუმცა, სატელევიზიო გადაცემათა ნუსხაში საკუთარი ან გარეწარმოების ექსკლუზიური გადაცემა არ არსებობს.

სპორტული ღონისძიებების თვალსაზრისით აჭარის ტელევიზია სისტემატიურად აჩვენებს რეგიონში გამართულ უმაღლესი ლიგის მატჩებს, რაც განპირობებულია საზოგადოების მოთხოვნით.

სწორად შერჩეული მხატვრული ფილმები აჭარის ტელევიზიის ერთერთი უპირატესობაა, რის გამოც, მაცურებელი არხს ირჩევს. ერთადერთი რეკომენდაცია ამ თვალსაზრისით იყო ქართული ფილმების უფრო მეტად პოპულარიზაცია.

მუსიკალური კლიპები ისევე არაგეგმავიერად არის მოთავსებული სატელევიზიო ბადეში, არ არის პრიორიტეტების შესაბამისად გამოყენებული აჭარის ტელევიზიის ვიდეოარქივი.

მექანიკურ პროდუქციასთან დაკავშირებით, ჩვენი რეკომენდაციაა, რომ პროგრამების სამსახურმა კიდევ უფრო მეტი ყურადღებით მიაღწეოს თვალყური ეთერში გასაშვებ ფილმებს და სიმკაცრით მოეკიდოს სტანდარტით დადგენილ რეგულაციებს.( განსაკუთრებით მაშინ როცა ბავშვებისა და მოზარდებისთვის ტელევიზორი ხელმისაწვდომია).

აქვე აღვნიშნავთ, რომ სატელევიზიო და რადიო სპეციფიკიდან გამომდინარე, სატელევიზიო სეზონი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, აქედან გამომდინარე, ანგარიშში ნაწილობრივ წარმოდგენილია 2014-2015-2016 წლების გადაცემათა შესახებ ანოტაციებიც.

საანგარიშო პერიოდისათვის აჭარის ტელევიზიის ეთერით გადაიცემოდა შემდეგი პროგრამები:

მიმდინარე ბადეში განთავსებულია შემდეგი საავტორო პროექტები:

საავტორო დოკუმენტური ფილმები:

1. „სახლი ბათუმში“ - ეთნიკური უმცირისობები“ - ავტორი შოთა გურაბანიძე;
2. „ცნობილი ადამიანები“ და სხვა თემატიკა - ავტორი ოლღა ჟღენტი;

3. თურქეთში მცხოვრები ქართული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები და სხვა თემატიკა - ავტორი გიორგი დიასამიძე

4. ფილმები ისტორიული ადგილების შესახებ და ხელოვნებისა და კულტურის თემა - ავტორი შოთა გუჯაბიძე

საავტორო გადაცემები:

1. „ინფოტური“ - ავტორი ლეილა შავიშვილი. (თვეში ორი გადაცემა)

გადაცემა განკუთვნილია ტურიზმის ბიზნესში ჩართული მეწარმეებისა და ფიზიკური პირებისათვის. გადაცემას აქვს საცნობარო-საკონსულტაციო ხასიათი.

2. „ეთნოფორი“ - ავტორი მიხეილ გაბაიძე. (თვეში ოთხი გადაცემა)

ჩვენი ქვეყნის ეთნიკური კულტურა - ხალხური სიმღერა, საკრავიერი მუსიკა, ცეკვის, ფერხულის უძველესი ფორმები, ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებები ეთნოფორთა მეხსიერებაში. ეთნოფორი - ადამიანი, რომელიც თავისი ძველი ყოფითი წეს-ჩვეულებებითა თუ თვითშემოქმედებით წარმოადგენს ეთნიკურ სახეს.

3. „სცენა“ - ავტორი ინგა ხალვაში. (თვეში ოთხი გადაცემა)

ყველაფერი სცენის ირგვლივ - მუსიკა, თეატრი, ქორეოგრაფია, ფოლკლორი, წარსული და დღევანდელი, ფაქტი და კომენტარი, პრიორიტეტი, მიება, ექსპერიმენტი, წარმატება და მარცხი, საშემსრულებლო ხელოვნების მეცნიერული ანალიზი და შეფასება.

4. „ეკომიგრანტები“ - ავტორი ნერონ აბულაძე. (თვეში ორი გადაცემა)

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აჭარის მაღალმთიანეთიდან გადასახლებული ეკომიგრანტები, ახლად განაშენიანებული სოფლები და ტაძრები, რომლებიც ეკომიგრანტების უშუალო ძალისხმევით აშენდა, ყოფითი ცხოვრება და ადაპტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. რა პრობლემები აწუხებთ აჭარელ ეკომიგრანტებს, როგორია მათი ცხოვრების პირობები და რა წარმატებებს მიაღწიეს.

5. „ბუნების კანონი“ ავტორი ირაკლი მსხილაძე. (თვეში ორი გადაცემა)

გადაცემა „ბუნების კანონი“ მოგვითხრობს მიმდინარე ეკოლოგიური პრობლემების შესახებ.

6. „ერთი დღე სოფელში“ ავტორი ნათია თავდგირიძე. (თვეში ორი გადაცემა)

ერთი სოფლის კულტურა და ტრადიცია, სოფლის ცხოვრების პოპულარიზაცია და ისტორია, შემორჩენილი სიძველეების აღმოჩენა და სოფლის მცხოვრებთა დღევანდელი საქმიანობის წარმოჩენა.

7. „თეთრი კვადრატი“ ავტორი გიორგი გოგიბერიძე. (თვეში ერთი გადაცემა)

გადაცემა მოგვითხრობს კინოფესტივალებზე, რეჟისორებზე, გადაცემის ფორმატში შედის ფილმის ჩვენება.

8. „პროექცია“ ავტორი ზვიად სირაბიძე. (თვეში ოთხი გადაცემა)

გადაცემაში ცნობილი ადამიანები ისაუბრებენ თავის ცხოვრებაზე, მიღწეულ წარმატებებსა და სირთულეებზე. პროექტში წარმოჩენილია პიროვნების სულიერი სამყარო, რაც მაყურებელს მისი უკეთ გაცნობის შესაძლებლობას აძლევს.

9. „ბიბლიოთეკა“ ავტორი მარიამ კორინთელი. (თვეში ოთხი გადაცემა)

ახალი წიგნების წარდგენა და საინტერესო სტუმრები.

10. „ტურისტი“ ავტორი აბესალომ დუმბაძე.

გადაცემა "ტურისტი" საერთაშორისო პროექტია და მას ორი ქვეყნის სატელევიზიო არხი ამზადებს. ორი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქის ერთმანეთთან დაკავშირება ინტერნეტით და მოლაპარაკება ბინის ერთი კვირით გაცვლის თაობაზე დასვენებისა და ახალი გარემოს გაცნობის მიზნით. გადაცემა გახდება ერთგვარი გზამკვლევი მოგზაურობის მოყვარულთათვის.

11. „სპეცრეპორტაჟი“ ავტორი ემზარ დიასამიძე . (თვეში ერთი)

12. ტელესპექტაკლი - ავტორი ნერონ აბულაძე. (თვეში ერთი სპექტაკლი)

13. „აგრობიზნესი“ - ავტორი ფირუზ ბოლქვაძე. (თვეში ორი გადაცემა)

პროექტი ხორციელდება "ENPARD - Ajara"-ს პროექტის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.



ეფექტური სოფლის მეურნეობის წარმოება შესაბამისი უნარებისა და ცოდნის შეძენით არის შესაძლებელი. თანამედროვე ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად ზრდის წარმოებული პროდუქტის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს და შესაბამისად ზრდის ფერმერის შემოსავლებსაც. ჩვენ გასწავლით, თუ როგორ შეიძლება ეფექტური აგრო ბიზნესის წარმოება.

პირდაპირი ტოქ-შოუ:

1. „ადვოკატის რჩევები“ - ავტორი გიორგი ხიმშიაშვილი. (ყოველკვირეული)

გადაცემა "ადვოკატის რჩევები" არის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ერთობლივი პროექტი. გადაცემა იურიდიული თემატიკისაა და მიზნად ისახავს მაყურებელს მიაწოდოს პირველადი და გადაუდებელი იურიდიული რჩევები, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს ეფექტიანად გამოიყენონ კანონმდებლობა მათი უფლებების დასაცავად, გადაცემა ინტერაქტიულია და მაყურებელს შეუძლია მათთვის საინტერესო შეკითხვები ღია ეთერში დასვას.

2. „სპორტი“ - ავტორი რეზო ჯინჭარაძე. (ყოველკვირეული)

სპორტული, ყოველკვირეული გადაცემა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სპორტის სახეობების პოპულარიზაციას. გადაცემაში ყურადღება გამახვილდება ამ სფეროში არსებულ პრობლემატიკასა და მისი გადაჭრის გზების ძიებაზე. სიახლეები, საინტერესო სტუმრები,

3. „ეკონომისტი „- ავტორი პაატა ჩაგანავა. (ყოველკვირეული)

ეკონომიკისა და ბიზნესის სიახლეები, აქტუალური პრობლემების ანალიზი და ეკონომისტთა შეფასებები.

4. „არტეოგრამა“ - ავტორი ხათუნა მანაგაძე. (ყოველკვირეული)

კულტურულ ცხოვრებაში არსებული პოზიტიური და პრობლემური მხარეები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის სპეციფიკა, მისი არსებობისა და განვითარებისთვის აუცილებელი პირობები, კულტურისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხები.

5. „პარადიგმა“ - ავტორი ნანა მაკარაძე. (ყოველკვირეული)

განათლების სფეროს ყველაზე აქტუალური საკითხების, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების გაცნობა, ანალიზი და შეფასება.

6. „მე ვარ ფერმერი“ ავტორი გიორგი სურმანიძე. (ყოველკვირეული)

თოქ-შოუ სოფლის მეურნეობის საკითხებზე ფერმერებისთვის და ფერმერების მონაწილეობით - აქტუალური თემები, სიუჟეტები და დისკუსია პირდაპირ ეთერში.

7. „იმპულსი“ ავტორი ირაკლი ფარულავა. (ყოველკვირეული)

მედიცინის ყველაზე საინტერესო სიახლეები, 21-ე საუკუნის ინოვაციური ტექნოლოგიები - გადაცემაში "იმპულსი". გადაცემის მნიშვნელოვანი ნაწილია სიუჟეტი მთავარ თემაზე, რომელიც სტუდიაში სტუმრით გაგრძელდება.

8. „დილა“ - ხელმძღვანელი ჯემალ ლამპარაძე. (ყოველ შაბათსა და კვირას).

9. „პირისპირ“ ავტორი ცოტნე ანანიძე (კვირაში ერთჯერ)

10. „ფაქტორი“ ავტორი ლაშა ზარგინავა (კვირაში ერთჯერ)

საავტორო გადაცემების, დოკუმენტური ფილმების და თოქ-შოუების გარდა ბადეში განთავსებულია:

მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმები, სერიალები;

საქართველოს უმაღლესი ლიგის საფეხბურთო მატჩები, რომელშიც მონაწილეობს ბათუმის „დინამო“ და ქობულეთის „შუქურა“; (პირდაპირი)

საქველმოქმედო კონცერტები-სალამოები (პირდაპირი ან ჩანაწერი);

ოფიციალური ღონისძიებები პირდაპირი ეთერით.

## 2. მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებები

2015 წლის განმავლობაში ჩატარდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს ცამეტი სხდომა და მრავალი სამუშაო შეხვედრა. ეწყობოდა, როგორც შიდა ლოკალური ხასიათის, ასევე გასვლითი შეხვედრები აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში. აღსანიშნავია, რომ მრჩეველთა საბჭოს სხდომები იყო ღია, საჯარო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ჰქონდა დასწრებისა და აზრის გამოხატვის უფლება

მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან მნიშვნელობის გათვალისწინებით გამოვყოფთ შემდეგს:

- 2015 წელს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს მეხუთე წევრის შემომატებისა და შესაბამისად სრულად დაკომპლექტების შემდეგ, თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით გადადგა, იმ მოტივით, რომ თავის დროზე იგი არჩეული იყო მაშინ მოქმედი არასრული შემადგენლობის პირობებში. ამავე სხდომაზე ხელახლა არჩეულ იქნა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე (სამი მომხრე და ორი წინააღმდეგი), ასევე არჩეულ იქნა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეც (ოთხი მომხრე და ერთი წინააღმდეგი) რომლის თანამდებობა მანამდე ვაკანტური იყო.

- 2015 წლის 26 ივნისს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე გამოქვეყნდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2015 წლის პროგრამული პრიორიტეტების პროექტი. ამავე სხდომაზე გაკეთდა განცხადება, რომ საბჭოს წევრები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან პრიორიტეტების საბოლოო სახით მიღებას, პროექტის სახით ასაჯაროებს დოკუმენტს და ათავსებენ ტელევიზიის ვებგვერდზე, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ორგანიზაციას, შესაძლებლობა მიეცემა გაეცნოს და თავისი მოსაზრებები, რეკომენდაციები, მიაწოდოს მრჩეველთა საბჭოს წევრებს. აღნიშნულის საფუძველზე, პროგრამული პრიორიტეტების პროექტი განთავსდა ვებ-გვერდზე საჯარო განხილვისათვის.

- 2015 წლის 17 ივლისს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე მოხდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებების ძირითადი პირობების დადგენა.

- 2015 წლის 28 ივლისს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე განისაზღვრა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2015-2016 წლის პროგრამული პრიორიტეტები და შესათანხმებლად წარედგინა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს, რომელმაც შეითანხმა წარდგენილი დოკუმენტი.

- 2015 წლის 21 აგვისტოს მრჩველთა საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის უნდობლობის საკითხი. მრჩველთა საბჭოს ორმა წევრმა თავი შეიკავა კენჭისრაში მონაწილეობისაგან. ფარული კენჭისყრის შედეგად გაირკვა, რომ დირექტორის ვადამდე ადრე გადაყენება ვერ მოხერხდა, ვინაიდან კენჭისყრის შედეგად მას მხარი არ დაუჭირა მრჩველთა საბჭოს საკმარისმა რაოდენობამ.

- აღსანიშნავია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თვითრეგულაციის მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების შეთანხმება (2015 წლის 29 სექტემბრის მრჩველთა საბჭოს სხდომა), რომლითაც შესაძლებელი გახდა თვითრეგულირების მექანიზმის ამოქმედება და საჩივრების განხილვის შიდა დამოუკიდებელი მექანიზმის დანერგვა.

- 2015 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა მრჩველთა საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და დასამტკიცებლად გადაეზღვა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს. დებულებაში განხორციელებული ცვლილებების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 01 თებერვალი. (იხ. დანართი N4)

აღნიშნული ცვლილებები განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით:

2015 წლის აგვისტოში შიდა რესურსის გამოყენებით განხორციელდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურის შეფასება. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ შემდგომი საქმიანობის ეფექტურად განხორციელების (კონკრეტულ საქმიანობებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრისათვის) მიზნით, აუცილებელი იყო სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელება.

2015 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში მაუწყებლის ადმინისტრაცია, დაუკავშირდა სტრუქტურული განახლების სფეროში მდიდარი გამოცდილების მქონე „სინერჯი ჯგუფს“-ს(ს/კ 404973310).

პირველ ეტაპზე, ადმინისტრაციის თხოვნით სინერჯი ჯგუფმა შეისწავლა მოქმედი სტრუქტურა და ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა შემდგომი სამუშაოების თანმიმდევრობა.

ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება დაახლოებით ორი თვე გრძელდებოდა. ჩამოყალიბების (შექმნის) პროცესში სინერჯი ჯგუფის წარმომადგენლებმა მოაწვეეს, როგორც დახურული ისე ღია შეხვედრები მაუწყებლის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებთან.

2015 წლის ნოემბრის ბოლოს სინერჯი ჯგუფმა მაუწყებელს შესთავაზა სტრუქტურის ახალი მოდელი, თანდართული თანამდებობრივი ინსტრუქციით. სტრუქტურის ახალი მოდელის წარმოდგენა განხორციელდა მაუწყებლის თანამშრომელთა (მრჩველთა საბჭოსა და დირექციის)

გაფართოებულ სხდომაზე. შეხვედრაზე დამსწრე გადაწყვეტილებების მიმღებმა ყოველმა პირმა მზადყოფნა გამოთქვა სტრუქტურის ახალ მოდელზე გადასასვლელად.

მაუწყებელში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესში ძირითადი და არსებითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით (სინერჯი ჯგუფის კონსულტაციით) დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საკონსულტაციო/დანერგვის ჯგუფი. დანერგვის ჯგუფის ამოცანას წარმოადგენდა ახალ სტრუქტურაზე გადასვლის გეგმის კონტროლი. დანერგვის ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: მრჩეველთა საბჭოს ორო წევრი, დირექტორი, დირექტორის მოადგილეები და სამსახურის უფროსები.

ახალ სტრუქტურაზე გადასვლა ითვალისწინებდა, როგორც მაუწყებლის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, ასევე სხვა (ახალი) სამართლებრივი/სადამფუძნებლო აქტების შექმნას.

ახალი სტრუქტურა ძირითადი სამსახურების (ხუთი სამსახურის), პარალელურად ითვალისწინებს საკონსულტაციო კოლეგიური ორგანოების არსებობას მაუწყებელში. საკონსულტაციო კოლეგიური ორგანოებია: (1) მმართველი საბჭო - შემადგენლობა: დირექტორი, მოადგილეები და სამსახურის ხელმძღვანელები. საბჭოს მიზანია: მაუწყებლის მიმდინარე საქმიანობის შეუფერხებელი, ხარისხიანი მართვა დადგენილი/განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, ხოლო ამოცანებია: ა). მიმდინარე ორგანიზაციული საკითხების ეფექტური და კოორდინირებული გადაჭრა; ბ). სტრატეგიული აქტივობებისა და მოქმედებების აღსრულების მონიტორინგი;

(2) სარედაქციო საბჭო - შემადგენლობა: მაუწყებელში დასაქმებული რედაქტორები. საბჭოს საქმიანობის მიზანია მაუწყებლობის სარედაქციო პოლიტიკა იყოს ობიექტური, დაბალანსებული, ეთიკური და მუდმივად ვითარდებოდეს მისი პრიორიტეტებისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, ხოლო ამოცანებია: ა). მაუწყებლობის ზოგადი სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრა და მისი მუდმივი განვითარება; ბ) სარედაქციო პოლიტიკის დარღვევის შემთხვევების დროული გამოვლენა და გადაჭრის უზრუნველყოფა;

(3) ტექნიკური განვითარების საბჭო - შემადგენლობა: მმართველი საბჭო და ტექნიკოსები. საბჭოს საქმიანობის მიზანია მაუწყებლის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა მუდმივად ვითარდებოდეს მისი საჭიროებების შესაბამისად, ხოლო ამოცანებია: ა). ტექნიკური განვითარების მიმართულებით მომზადებული გეგმების განხილვა და შერჩევა; ბ). ტექნიკური განვითარების მიმართულებით მომზადებული ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება; გ). ტექნიკური მიმართულებით წარმოქმნილი პრობლემური საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება;

(4). აუდიტორიის განვითარების საბჭო - იყოფა ორ ნაწილად: სატელევიზიო მაუწყებლის აუდიტორიის განვითარების საბჭო და რადიოსა და ინტერნეტ მაუწყებლის აუდიტორიის განვითარების საბჭო. შემადგენლობა განსხვავებულია (ტელევიზიისა და რადიოს მიმართულებით), ძირითად გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ემატებათ - ბრენდისა და პრომოუშენის მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლები. საბჭოს

მიზანია: უზრუნველყოს რაც შეიძლება მეტ მიზნობრივ სეგმენტში, რაც შეიძლება დიდი აუდიტორიის მოზიდვა და მათი ლოიალურობის ამაღლება მაუწყებლის მიმართ, ხოლო ამოცანებია: (ა) აუდიტორიის განვითარებისათვის საჭირო შესაძლებლობების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება; (ბ) აღნიშნული მიმართულებით წარმოქმნილი პრობლემების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება;

(5). ხარისხის განვითარების საბჭო - შემადგენლობა: მმართველი საბჭო (ნაწილობრივ), მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სამსახური, განვითარების სამსახური. საბჭოს მიზანია: მაუწყებლის საქმიანობის ხარისხის უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა, ხოლო ამოცანებია: (ა) ხარისხის კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა და შეთანხმება; (ბ) ხარისხთან დაკავშირებით წარმოდგენილი პრობლემების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება; (გ) ხარისხის განვითარების შესაძლებლობების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება;

მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებლის დებულებაში მითითებულია, რომ საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საკონსულტაციო ხასიათისა, თავად საბჭოების დებულებებით მაუწყებლის დირექტორმა სავალდებულოდ შესასრულებები ძალა მიანიჭა მათ გადაწყვეტილებებს.

ზ/აღნიშნული საკონსულტაციო საბჭოები 2016 წლის 01 ივნისამდე მუშაობენ სატესტო რეჟიმში.

სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული სამსახურები მუშაობენ ურთიერთ კონტროლის პრინციპის საფუძველზე.

ამ დროისთვის, ახალი სტრუქტურა საბოლოოდ არ არის ამუშავებული (სამწუხაროდ დასაქმებულთა ნაწილი, მათ შორის პასუხისმგებელი პირები ჰორიზონტალური კონტროლის მექანიზმს ვერ აღიქვამენ, რადგან ათეული წლების განმავლობაში ვერტიკალურ კონტროლს იყვნენ შეგუებულნი).

ამჟამად არსებობს შეთანხმება სინერჯი ჯგუფთან იმის შესახებ, რომ განახორციელებენ სტრუქტურაზე გადასვლის ეტაპისა და საბოლოოდ ახალი სტრუქტურის ამუშავების ანალიზს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზ/აღნიშნულ საქმიანობას სინერჯი ჯგუფი ახორციელებს უსასყიდლოდ, მაუწყებელთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე.

### 3. ინფორმაცია დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ განხორციელდა დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული პროგრამების შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ინფორმაცია მოცემულია შემდეგი თანმიმდევრობით: დამოუკიდებელი პროგრამის დასახელება, მწარმოებლის სახელი და საიდენტიფიკაციო კოდი, ელექტრონული ტენდერის ნომერი, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი.

დილის გადაცემა -ი/მ რუსუდან დადემქელიანი (01009007744), SPA140018959, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 31.10.2014წ-დან 30.11.2015წ.

დარგობრივი - შპს „ლაიმ სტუდიო“ (ს/ნ 445446697), SPA140018680, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 29.09.2014წ-დან - 31.12.2015წ.

ეკომიგრანტები - შპს "კრეატივი", (ს/ნ 406114208), SPA140018755, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 29.09.2014 წ-დან - 31.08.2015წ.

ბათუმის ისტორია - შპს "ტივტივა TIVTIVA" (ს/ნ 445438429), SPA140018756, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 30.09.2014 წ-დან - 31.08.2015წ.

ფოლკლორი - შპს "მიფასი ფილმი" (ს/ნ405012187), SPA140018844, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 30.09.2014 წ-დან - 31.08.2015წ.

სოფლის ყოფა - შპს „ლაიმ სტუდიო“ (ს/ნ 445446697), SPA140018845, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 29.09.2014წ-დან - 31.08.2015წ.

მხატრული ფილმები: ჯარისკაცის მამა და ღიმილის ბიჭები, ბიძინა ჩხეიძე (პ/ნ 01025002002), თამარ ჩხეიძე (პ/ნ 01017017506), ხათუნა ჩხეიძე (პ/ნ01008003430), გამარტივებული შესყიდვა CMR150126017, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 24.06.2015 წ-დან - 31.07.2015წ.

მხატრული ფილმები: „თოჯინები იცინიან“, „შეხვედრა მთაში“, „აბეზარა“, „ჩარი რამა“, „ვერის უბნის მელოდები“ და „სიყვარული ყველას უნდა“, კახაბერ სანიშვილი (01008007944), CMR160013321, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 31.12.2015 წ-დან 31.03.2016 წ.

მხატრული ფილმები: „ვერის უბნის მელოდები“ და „სიყვარული ყველას უნდა“, გიორგი შენგელაია (01025003202), CMR160018184, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 31.12.2015 წ-დან 31.03.2016წ.

ქართულ ენაზე გახმოვანებული მხატვრული ფილმები - მომწოდებელი შპს „ბრავო რეკორდს“ (ს/ნ404868639), SPA150000331, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 10.02.2015 წ-დან - 30.08.2015წ.

#### **4. განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ**

განხილული საჩივრების მიმოხილვამდე, საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N01-01/11 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა, ხოლო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის 2015 წლის 01 ოქტომბრის N02-03/18 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულება. (იხ. დანართი N5)). აღნიშნული დებულების მიღებამ შესაძლებელი გახადა „აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ში წარდგენილი საჩივრების ეფექტიანად და გამჭირვალედ განხილვის პროცედურების განხორციელება. თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილი დებულების თანახმად საჩივრების მიუკერძოებლად განხილვას უზრუნველყოფდა ტელევიზიის დირექტორის ბრძანებით შექმნილი დამოუკიდებელი კომისია, რომლის წევრები არ უნდა ყოფილიყვნენ საჯარო მოხელეები, სხვა მაუწყებლის თანამშრომლები ან პოლიტიკური პარტიის წევრები.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიაში. სააპელაციო კომისიად განისაზღვრა „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭო.

2015 წელს სულ შემოვიდა 2 საჩივარი

2015 წლის 14 დეკემბერს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილველ კომისიას მიმართა მრჩეველთა საბჭოს წევრმა, რომელმაც მოითხოვა 2015 წლის 18 აგვისტოს აჭარის ტელევიზიის ეთერთ საინფორმაციო გამოშვებაში ჟურნალისტის მიერ გაკეთებულ სიუჟეტთან დაკავშირებით მაუწყებლის ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტის დადგენა (მიუკერძოებლობისა და სამართლიანი გაშუქების ნაწილში). კომისიამ საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მიიჩნია რა



ჟურნალისტის მხრიდან მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-19 მუხლის დარღვევა საჩივრის პირველ, მეორე და მესამე პუნქტებთან დაკავშირებით (იხ. დანართი N6).

ჟურნალისტის მიერ 2016 წლის 25 იანვარს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო კომისიაში. (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭო). აპელანტი ითხოვდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილ საჩივრების განმხილველი კომისიის 2016 წლის 13 იანვრის N1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც დადგენილია მის მიერ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტი.

იმის გათვალისწინებით, რომ დავის ერთ-ერთი მონაწილე (საჩივრის ავტორი, სააპელაციო მოპასუხე) იყო მრჩეველთა საბჭოს წევრი, არსებობდა თვითაცილების პირდაპირი საფუძველი. შესაბამისად მრჩეველთა საბჭოს წევრებმა განაცხადეს თვითაცილება, და უარი თქვეს საჩივრის განხილვაზე.

- 2015 წლის 16 მარტს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიმართა ამავე ორგანიზაციის თანამშრომელმა - ა-მ რომელმაც განაცხადა, რომ 2015 წლის 28 თებერვალს ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამუშაო საათების პერიოდში განსაკუთრებული სისასტიკით სცემა მისმა კოლეგამ - ბ-მ და მოითხოვა შესაბამისი რეაგირება. განცხადება ქვემდებარეობსამებრ გადაეგზავნა ბათუმის რაიონულ პროკურატურას. ამის შემდეგ, 2015 წლის 29 მაისს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე და სოციალური ქსელის მეშვეობით ბ-მ რამდენჯერმე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მაუწყებლის დირექტორს, რის გამოც ის დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. (იხ. დანართი N7).

## **5. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ**

2015 წლის 10 და 12 მარტს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“, რომელმაც სხვადასხვა ინფორმაციასთან ერთად მოითხოვა საჯარო ინფორმაცია თანამშრომლებზე გაცემული სახელფასო სარგოს, დანამატისა და პრემიების შესახებ, რაზეც მიიღო შესაბამისი წერილობითი დოკუმენტაცია. (იხ. დანართი N8).

## 6. საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებულება 2015 წელს არცერთ საწარმოსთან არ ჰქონია.

## 7. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის დაფინანსების თანხა შეადგენს 6 615 000 ლარს, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი კი 150 000 ლარია, რის გათვალისწინებითაც შედგენილია აღნიშნული თანხების მუხლობრივი განაწილება, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ნაწილში შრომის ანაზღაურების თანხა შეადგენს 4 177 000 ლარს, რაც 834 300 ლარით აღემატება 2015 წლის ბიუჯეტის ბოლო წარმოდგენილ მაჩვენებელს. აღნიშნული ზრდა გულისხმობს არსებულ სატელევიზიო და რადიო პროექტებში დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ზრდას, ასევე ახალ სატელევიზიო და რადიო პროექტებში დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფას. კერძოდ, ახალი სეზონიდან (ნაწილი ახალი წლიდან) წარმოებს პროგრამული პრიორიტეტებით გათვალისწინებული რამდენიმე ისეთი გადაცემის მომზადება, რომელიც მანამდე არ მზადდებოდა, ან ხდებოდა მათი მოწოდება კერძო სტუდიებისაგან. ასეთი პროგრამებია - დილის გადაცემა, დარგობრივი თოქ-შოუები, გადაცემები ტურიზმის, ეკოლოგიის შესახებ და სხვა. ასევე გათვალისწინებულია წინასაარჩევნო პერიოდში თანამშრომელთა მატერიალური წახალისება (10000 ლარის ფარგლებში). საკუთარი შემოსავლების ხარჯვის ნაწილში შრომის ანაზღაურების თანხა შეადგენს 25 200 ლარს, რაც მოიცავს დონორ ორგანიზაციასთან - საქართველოში გაეროს წარმომადგენლობასთან დადებული ხელშეკრულებით დაფინანსებული სატელევიზიო პროექტის ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასს.

მივლინებების ხარჯი საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 143 250 ლარს, საკუთარი შემოსავლების ნაწილში კი - 35 000 ლარს (მათ შორის გაეროს დაფინანსებით 5 000 ლარი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად), რაც მიმდინარე წლის ფაქტიური ხარჯის გათვალისწინებით იქნა გათვლილი. ამასთან, გათვალისწინებულია საზღვარგარეთ მივლინებების დაფინანსების დროს უცხოური ვალუტის გაზრდილი კურსი და წინასაარჩევნო პერიოდში მოსალოდნელი მივლინებების გაზრდილი რაოდენობა.

მრჩველთა საბჭოს თანხა საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 99 225 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლების ნაწილში 1 650 ლარს, რაც დადგენილი პროცენტული მაჩვენებლების გათვალისწინებით იქნა დაგეგმილი.

ადმინისტრაციული ხარჯის თანხა საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 692 525 ლარს, რაც 7 525 ლარით აღემატება 2015 წლის ბოლო წარმოდგენილ მაჩვენებელს. ხარჯები დათვლილია 2015 წლის ფაქტიური მაჩვენებლების, არსებული მარაგების და ფასების შესაძლო ზრდის გათვალისწინებით. ამასთან, საკუთარი შემოსავლების ნაწილში ადმინისტრაციული ხარჯის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 7 850 ლარს, რაც 6150 ლარით ნაკლებია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია გაეროს დაფინანსების დღეს მოქმედი ხელშეკრულების ვადით (2016 წლის 1 აპრილამდე) და მის ფარგლებში საწვავის შეძენისთვის გათვალისწინებული თანხით.

საინფორმაციო ხარჯების თანხა საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 31 900 ლარს, რაც 129 611 ლარით ნაკლებია 2015 წლის ბოლო წარმოდგენილ მაჩვენებელზე. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2016 წლიდან აღარ იგეგმება საინფორმაციო მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმება არარეზიდენტ მომწოდებელ „როიტერთან“. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში დაგეგმილია საინფორმაციო ხარჯების თანხა 2500 ლარი, რაც ტრენინგებისთვისაა განკუთვნილი.

პროდიუსინგის ხარჯების თანხა საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 538 000 ლარს, რაც 34 436 ლარით მეტია 2015 წლის ბოლო წარმოდგენილ მაჩვენებელზე. ძირითადი ზრდა აღნიშნული მუხლის ქვეკუთხედებს შორის მოდის სტუდიების განახლების ხარჯზე (აღსანიშნავია, რომ არარეზიდენტ მომწოდებლებთან კურსის ზრდის გამო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად 2015 წელს სტუდიების განახლება არ მომხდარა), პროდიუსინგის ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელი საკუთარი შემოსავლების ნაწილში შეადგენს 4 000 ლარს, რაც 7 500 ლარით ნაკლებია 2015 წლის მაჩვენებელზე. აქ ძირითადად შემცირება მოდის ნამზადების შეძენის ხარჯზე (3000 ლარით), რაც გამოწვეულია გადაცემისა და არხის შეფუთვისთვის გამოსაყენებელი ტიხრების, პრომოების, ქუდების დასამზადებლად საჭირო გრაფიკული ნამზადების მნიშვნელოვანი ნაწილის 2015 წლის სახსრებით შეძენით. ასევე, პროდიუსინგის ხარჯები შემცირდა 6000 ლარით, ეს თანხა 2015 წელს რადიოს ვებ-გვერდისათვის იყო გამოყოფილი. ამასთან, გათვალისწინებულია სატელევიზიო გადაცემებისთვის საჭირო მასალების, დეკორაციების და კვების სხვადასხვა საქონელის შეძენა 1500 ლარის ფარგლებში.

ტექნიკური ხარჯების თანხა საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში შეადგენს 854 100 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლების ნაწილში შეადგენს 51 800 ლარს. შესაძენი ტექნიკისა და მომსახურების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია წარმოდგენილ პროექტში.

საბიუჯეტო დაფინანსების ნაწილში დაემატა მუხლი სხვა გადასახდელები 79 000 ლარით, რომელშიც ძირითადად ასახულია არარეზიდენტი მომწოდებლების მომსახურებასთან დაკავშირებული გადასახადების თანხა (რაც 2015 წლის ბიუჯეტში ასახული იყო ტექნიკურ და საინფორმაციო ხარჯებში თანამგზავრული მაუწყებლობის, პირდაპირი ჩართვების და საინფორმაციო მომსახურების თანხებთან ერთად). საკუთარი შემოსავლების ნაწილში კი აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული თანხა შეადგენს 22 000 ლარს, რაც დაგეგმილი შემოსავლების პროპორციულად და 2015 წლის მიმდინარე გადასახდელების გათვალისწინებით არის დათვლილი. ამასთან, გათვალისწინებულია როგორც ყოველთვიური, ისე წლიური გადასახადების თანხა.

ხარჯების დასახელება	ხაზინა	ეკონ. საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან	სულ
შრომის ანაზღაურება	4177000	25200	4202200
მივლინებები	143250	35000	178,250
მრჩეველთა საბჭო	99225	1650	100,875
ადმინისტრაციული	692525	7850	700,375
საინფორმაციო	31900	2500	34,400
პროდიუსინგი	538000	4000	542,000
ტექნიკური	854100	51800	905,900
სხვა გადასახდელები	79000	22000	101,000
<b>სულ ჯამი</b>	<b>6,615,000</b>	<b>150,000</b>	<b>6,765,000</b>

## 8. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015 წლის დაფინანსების თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმის მიხედვით შეადგენდა 6 123 000 ლარს, ფაქტიურად საბიუჯეტო დაფინანსებიდან დაიხარჯა 6 120 536,67 ლარი ანუ გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 99,96%-ს.

2015 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვითი ნაწილის თანხა 269 150 ლარის ოდენობით, ფაქტიურად კი დაიხარჯა 263 455,65 ლარი ანუ გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 97,88%-ს.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით.

**სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015 წლის საკასო ხარჯები**

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015 წლის ბიუჯეტი	ბაზინიდან გასაწევი ხარჯების გეგმა- 2015 წელი	ბაზინიდან გაწეული საკასო ხარჯები - 2015 წელი	საკუთარი შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების გეგმა- 2015 წელი	საკუთარი შემოსავლებიდან გაწეული საკასო ხარჯები- 2015 წელი
<b>ხ ა რ ჯ ე ბ ი ს   დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა</b>				
<b>შრომის ანაზღაურება</b>	<b>3342700.00</b>	<b>3342685.53</b>	<b>99025.00</b>	<b>99025.00</b>
<b>მრჩეველთა საბჭო</b>	<b>91845.00</b>	<b>90057.50</b>	<b>3225.00</b>	<b>3173.22</b>
<b>მივლინება</b>	<b>86500.00</b>	<b>86465.89</b>	<b>55650.00</b>	<b>55301.63</b>
<b>ადმინისტრაციული</b>	<b>685000.00</b>	<b>684510.15</b>	<b>14000.00</b>	<b>12933.78</b>
<b>საინფორმაციო</b>	<b>161511.00</b>	<b>161507.72</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>
<b>პროდიუსინგი</b>	<b>503564.00</b>	<b>503545.28</b>	<b>11500.00</b>	<b>10614.27</b>
<b>ტექნიკური</b>	<b>1251880.00</b>	<b>1251764.60</b>	<b>40750.00</b>	<b>40737.00</b>
<b>სხვა გადასახდელები</b>	<b>0.00</b>		<b>45000.00</b>	<b>41670.75</b>
<b>სულ ბიუჯეტი</b>	<b>6123000.00</b>	<b>6120536.67</b>	<b>269150.00</b>	<b>263455.65</b>

2015 წლის განმავლობაში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დარიცხული შემოსავლების თანხა (დღგ-ს ჩათვლით) შეადგენს 262 835,93 ლარს.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დარიცხული შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით.

<b>სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015 წლის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დარიცხული შემოსავლები (დღგ-ს ჩათვლით)</b>	
შემოსავლები სასპონსორო და პროდუქტის განთავსების (Product placement) მომსახურებიდან	<b>42593.43</b>
შემოსავლები ქონების იჯარიდან	<b>69986.00</b>
შემოსავლები აუქციონის წესით ჯართის რეალიზაციიდან	<b>2251.00</b>
შემოსავლები აუქციონის წესით ავტომობილების რეალიზაციიდან	<b>9790.00</b>
შემოსავლები დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით პროგრამების მომზადებიდან	<b>9600.00</b>
საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის მიერ სატელევიზიო პროგრამის დაფინანსება	<b>117125.00</b>
სხვა შემოსავლები (ტექნიკით მომსახურება, არქივიდან მასალების გაცემა, პირგასამტეხლო, კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება)	<b>11490.50</b>
<b>სულ</b>	<b>262835.93</b>

## 9. აუდიტის დასკვნა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დებულებაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, რომელიც ამოქმედდა 2016 წლის 01 თებერვიდან, სრულიად შეიცვალა სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე შეიქმნა შიდა აუდიტის სამსახური. აღნიშნული სამსახურის ფუნქციას არა მარტო ფინანსური (ხარჯვითი ნაწილის) შესაბამისობის დადგენა და აუდიტორული კონტროლი, არამედ სამართლებრივი დოკუმენტების შესაბამისობების დადგენა და მათი კონტროლი. მრჩეველთა საბჭოს ანგარიშს თან დაერთვის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაკეთებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2015 წლის შიდა აუდიტორული ანგარიში. (იხ. დანართი N9) ასევე, მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის მიმართვის თაობაზე, აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით. (იხ. დანართი N10).

აქვე, მრჩეველთა საბჭო ხასგასმითა და სინანულით აღნიშნავს, რომ მისთვის კანონით გამოყოფილი მწირი ფინანსური რესურსის გამო ვერ მოხერხდა საანგარიშო პერიოდის გარე აუდიტორული კვლევის ჩატარება. რომელიც კანონით გათვალისწინებული ვალდებულებაა. ამასთანავე, შევნიშნავთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში მრჩეველთა საბჭოს დაფინანსების წესთან დაკავშირებული ცვლილება, გვაძლევს შესაძლებლობას 2016 წლისათვის ჩატარდეს გარე აუდიტორული კვლევა და სრულად იქნას დაცული კანონის მოთხოვნა ამ თვალსაზრისით.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს საგანგებოდ გვსურს, გავამახვილოთ ყურადღება აჭარის ტელევიზიის შენობის შეუსაბამობასა და ფართობის უკიდურეს სივიწროვეზე. მიგვაჩნია, რომ უნდა დაიწყოს დიალოგი აჭარის ა რ მთავრობასთან ტელევიზიის სარგებლობაში არსებული შენობების სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-სათვის უსასყიდლოდ და უპირობოდ გადმოცემის, ან სხვა ალტერნატიული და სათანადო ფორმების გამოსაძებნად.